საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

№2488 2019 წლის 29 ნოემბერი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გრანტის მიღების შესახებ გასაფორმებელი დოკუმენტის თაობაზე

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილებისა და საქართველოს მთავრობასა და აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ ფონდს (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) შორის 2015 წლის 30 სექტემბერს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №1612 განკარგულების საფუძველზე გაფორმებული საგრანტო ჩარჩოხელშეკრულების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და

აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ ფონდს (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) შორის „საქართველოში ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულება – NGEO-T-NCDC.

2. გრანტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დაწყების თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 იანვარი.

3. სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს უფლება მიეცეს, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ორგანიზაციებს დროებით სარგებლობაში გადასცეს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის დაფინანსების ფარგლებში შეძენილი ქონება, საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისთვის.

4. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საგრანტო დოკუმენტში შესაბამისი პირობების დაზუსტება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან საგრანტო დოკუმენტის მოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კორექტირება, გარდა გრანტის მიღების მიზნის, მოცულობისა და სახსრების (ფულადი თუ ნატურალური ფორმით) გამოყენების კონკრეტული მიმართულების ცვლილებისა, მის ხელმოწერამდე ან ხელმოწერის შემდგომ გადაწყდეს ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით, საქართველოს მთავრობასთან დამატებით შეთანხმების გარეშე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**